LITTLE LIAKHVI GORGE AS A PART OF SO-CALLED SOUTH OSSETIAN AUTONOMOUS OBLAST AND GROWING PROTEST

პატარა ლიახვის ხეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში და მოსახლეობის პროტესტი

Giorgi Sosiashvili
Doctor of History, Professor of Gori State University. Gori, Georgia
ORCID: 0000-0002-2406-8662
(+995) 577 24 00 88; giorgisosiashvili@gmail.com

Abstract

Russia started implementing its imperial policy with scrupulous and methodical planning. The aim of the policy was to integrate all parts of Georgia with Russia thus, total assimilation of Georgian Population. The goal of Russian Empire was to create military-political enclaves and first step to fulfill their scheme was to create separate administrative entities for mountainous people or Ossetians, re-located from North Caucasus to mountainous parts of Shida Kartli. In 1843, obeying Minister of Military, Chernishev's order, viceroy of the Caucasus established two administrative entity for mountainous people of east Georgia, that had lived in Gori, Tbilisi and Telavi uyezds: Tush-Pshav-Khevsureti and Ossetian Okrug. Teritories of Mtiuls and Mokhevs, who lived near the military road, were included in Ossetian Okrug. In September of 1842, Golovin visited Kvesheti, the center of Ossetian Okrug. It was obvious that, there would be difficulties to have total control on upper side of Greater Liakhvi Gorge population, Ossetins who lived in Java, Maghan-Dvalet, and Nar-Mamison, for this reason they created one more Mountain okrug. In 1843, Ossetian Okrug was divided into three parts: Java, Little Liakhvi and Nar. Ossetian and Pshav-Tush-Khevsur okrug chiefs were subordinates of Mountin Okrgu Chief, in accordance of special instructions. Ardon Gorge (Dvaleti), with its center Java, was under Ossettian Okrug jurisdiction. Ossettian military okrug became part of a new left wing of Caucasus line, established on April 3, 1858. Soon Nar district was under this administrative entity because of its location and Dvaleti, which had never been separated from Georgian territories before, was finally beyond Georgian jurisdiction. Java and Little Liakhvi police districts, once under Tiflis Governorate, now became under the jurisdiction of Gori uyezd. Over the time, Ossetins mastered the audacity to declare their new home as their paternal home, this tendency soon turned into Separatist movement. The very first claw of the movement was shown in December, 1917. The second South Ossettian congress, which was held in December 15-17, 1917, in Tskhinvali, formed the South Ossettian National Council. Georgian Council had close work relationship with Sauth Osettian National Council but separatists were eager to sabotage and damage relationship between two councils.

As L. Toidze writes: "It was an ugly mixture of Social, National and Separatist Motives". On March 19, 1918, a horrific crime was done by Ossetian gangs in

Tskhinvali, they slaughtered Georgian delegation, ready for the negotiation, and assaulted peaceful population. Their rebellion and vicious crimes were neutralized by National Army of Georgia.

Although, Ossetin outbursts of violence against Georgia, instigated by Bolsheviks, continued years. Especially after annexation of Georgia on February 25, 1921. Kremlin officially declared South Ossetian Autonomous Oblast as an independent entity on April 20, 1922. They issued a decree (N2), signed by P. Makharadze, S. Kavtaradze and T. Kalandadze. Population of old Georgian villages were forced to enter in the Oblast. There is a geographical line described in the decree, which shows Georgian villages, separated from Georgian territory. One part went through the south of Little Liakhvi villages, situated upper part of the gorge, the line went along village Eredvi from the south of Tskhinvali, crossed river Little Liakhvi from the north as it went along Charebula's Mereti and over Koshka from southeast and finally went downward. As the document tells us " From the south: border line will continue through Chorchan-Tsneleti road, cross river Lopan from Tsneli, turn to north -east , go above village Atsotsi, cross river Prona from village Okoni, go to the south, east side of river Proni, cross left tertiary of river Proni, near village Kvatetri, then cross river Proni (Kornisa) above village Dvana; go parallel to Dvani-Gujabauri road from north-west, cross river Greater Liakhvi, below Tskhinvali and above Ergneti, go near village Eredva; cross river Little Liakhvi, above village Arbo, river Charebula, village Mereti and Koshka, turn to south east, cross river Otrefa above village Plavisman and river Adzura and Mejuda".

Despite utmost discontentment and resentment of Georgian population, 40 Georgian villages were controlled by concocted South Ossetian Autonomous Region, among them were villages, situated in the upper part of Little Liakhvi. According to 2015 census of population, South Ossetti was divided in 4 regions: Tskhinvali, Leningori (Akhalgori), Znauri (Kornisi) and Java. Villages of Little Liakhvi, occupied after 2008 war, went under Tskhinvali jurisdiction and changed the status to rural administrative entity, De-Facto Government changed the names of the villages as they are determined to erase all traces of Georgian origin.

Key words: Liakhvi gorge, Ossetians, Insurrection, Bolsheviks, Occupation.

გიორგი სოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
გორი, საქართველო
ORCID: 0000-0002-2406-8662
(+995) 577 24 00 88; giorgisosiashvili@gmail.com

აბსტრაქტი

იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანს საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუსულ სივრცეში ინტეგრაცია და აქ მცხოვრები ხალხის სრული ასიმილაცია წარმოადგენდა, რუსეთის ხელისუფლება გეგმაზომიერად შეუდგა. საიმპერატორო კარის ინტერესში შე-

დიოდა კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ანკლავების შექმნა, აღნიშნული პოლიტიკა საქართველოში მცხოვრები მთიელების ასევე ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლის მთიან ზოლში ჩამოსახლებული ოსებისათვის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებით დაიწყო. 1842 წელს, რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრის ჩერნიშევის მითითებით, კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომლებიც უწინ გორის, თბილისის და თელავის მაზრებში შედიოდნენ, ორი ადმინისტრაციული ერთეული: თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგი შექმნა. ოსეთის ოკრუგს მიაკუთვნეს საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს მცხოვრები მთიულები და მოხევეები. იმავე წლის სექტემბერში გოლოვინმა ოსეთის ოკრუგი მოინახულა, რომლის ცენტრს ქვეშეთი წარმოადგენდა. ჩანდა, რომ ქვეშეთიდან მოუხერხებელი იყო დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე ოსებით დასახლებული ჯავის, მაღრან-დვალეთის, ასევე ნარ-მამისონის მართვა, ამიტომ სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის მთის ოკრუგი შეიქმნა. 1843 წელს ოფიციალურად შეიქმნა ოსეთის ოკრუგი, რომელიც სამ უბნად გაიყო: ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის. ოსეთის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსები სპეციალური ინსტრუქციით მთის ოკრუგის უფროსს დაუქვემდებარეს. ოსეთის ოკრუგში არდონის ხეობაც (დვალეთი) შედიოდა და მის ცენტრს ჯავა წარმოადგენდა. 1858 წლის 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაში მოექცა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ოსეთის სამხედრო ოკრუგი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულს მალე ვლადიკავკაზთან სიახლოვის გამო, ოსეთის ოკრუგში შემავალი ნარის უბანი მიაკუთვნეს და ამით საქართველოს ტერიტორიას მისი განუყოფელი ნაწილი ისტორიული დვალეთი ჩამოაცილეს. ჯავის და პატარა ლიახვის საპოლიციო უბნები ჯერ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში იყო, შემდეგ კი ოსეთის საპოლიციო უბნის სახით გორის მაზრას დაუქვემდებარეს. საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს თანდათან მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ისტორიულ საცხოვრისად გამოცხადების სურვილი გაუღრმავდათ, რამაც თანდათან სეპარატისტული მოძრაობის სახე მიიღო. ამის ნათელი დადასტურება ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში დაიწყო. 1917 წლის 15-17 დეკემბერს, სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობამ, რომელიც ცხინვალში გაიმართა, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო აირჩია. საქართველოს ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსთან, თუმცა, ოსი სეპარატისტები დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდნენ. როგორც ლ. თოიძე წერს: ,,აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები.” 1918 წლის 19 მარტს, ცხინვალში ოსმა ბანდებმა შემზარავი ტრაგედია დაატრიალეს. დახოცეს მოლაპარაკებაზე მისული ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, სასტიკად გაუსწორდნენ ასევე ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას. 1918 წლის მარტში ოსი სეპარატისტების გამოსვლა ქართულმა სახალხო გვარდიამ გაანეიტრალა. თუმცა ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსების გამოსვლები

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. ოსურ სეპარატიზმს ხელ-ფეხი 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გაეხსნა. 1922 წლის 20 აპრილს, კრემლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა. გამოიცა დეკრეტი (#2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე. ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით შეიყვანეს უძველესი ქართული სოფლები. დეკრეტში აღწერილია ის გეოგრაფიული ხაზი, რომელიც ავტონომიურ წარმონაქმნში მოქცეულ ქართულ სოფლებს დანარჩენი ტერიტორიისგან გამიჯნავდა. ერთი მონაკვეთი სწორედ პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლების სამხრეთით გადიოდა, კერძოდ, ცხინვალის სამხრეთიდან სოფელ ერედვს მიუყვებოდა, შემდეგ არბოს ჩრდილოეთ ნაწილში კვეთდა მდ. პატარა ლიახვს, ასევე ჭარებულას მერეთის და კოშკის ზემოთ და შემდეგ სამხრეთ აღმოსავლეთით სოფელ ფლავისმანის ზემოთ ეშვებოდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: “სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. და დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა ლიახვს, სოფელ არბოს ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფელ მერეთისა და კოშკას ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრეფას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას.“

საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტის მიუხედავად, 40 ქართული სოფელი ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემადგენლობაში მოექცა, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები. 2015 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მიხედვით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოთხ რაიონად დაიყო. ესენია: ცხინვალის, ლენინგორის (ახალგორის), ზნაურის (ყორნისი) და ჯავის. პატარა ლიახვის ხეობის ის სოფლები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ოკუპირებულია, ცხინვალის რაიონში შევიდა და რამდენიმე სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს, არაერთ ქართულ სოფელს დე ფაქტო ხელისუფლების მიერ სახელი გადაერქვა,

რაც საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ცხოვრების კვალის წაშლის მცდელობაა.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ოსები, აჯანყება, ბოლშევიკები, ოკუპაცია.

შესავალი

XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება გეგმაზომიერად შეუდგა იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანს საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუსულ სივრცეში ინტეგრაცია და აქ მცხოვრები ხალხის სრული ასიმილაცია წარმოადგენდა. საიმპერატორო კარის ინტერესში შედიოდა კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ანკლავების შექმნა, რაც საქართველოში მცხოვრები მთიელების, ასევე ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლის მთიან ზოლში ჩამოსახლებული ოსებისათვის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებით დაიწყო. 1842 წელს, რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრის ჩერნიშევის მითითებით, კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა (1837-1842 წ.წ.) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომლებიც უწინ გორის, თბილისის და თელავის მაზრებში შედიოდნენ, ორი ადმინისტრაციული ერთეული: თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგი შექმნა. (გვასალია, 1996: 100; АКАК, 1884: 749) ოსეთის ოკრუგს მიაკუთვნეს საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს მცხოვრები მთიულები და მოხევეები. გოლოვინმა ოსეთის ოკრუგი მოინახულა, რომლის ცენტრს ქვეშეთი წარმოადგენდა. ჩანდა, რომ ქვეშეთიდან მოუხერხებელი იყო დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე ოსებით დასახლებული ჯავის, მაღრან-დვალეთის, ასევე ნარ-მამისონის მართვა, ამიტომ სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის მთის ოკრუგი შეიქმნა. 1843 წელს ოფიციალურად შეიქმნა ოსეთის ოკრუგი, რომელიც სამ უბნად გაიყო: ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის. ოსეთის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსები სპეციალური ინსტრუქციით მთის ოკრუგის უფროსს დაუქვემდებარეს. (გვასალია, 1996: 100) ოსეთის ოკრუგში არდონის ხეობაც (დვალეთი) შედიოდა და მის ცენტრს ჯავა წარმოადგენდა. 1858 წლის 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაში მოექცა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ოსეთის სამხედრო ოკრუგი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულს, მალე, ვლადიკავკაზთან სიახლოვის გამო, ოსეთის ოკრუგში შემავალი ნარის უბანი მიაკუთვნეს და ამით საქართველოს ტერიტორიას მისი განუყოფელი ნაწილი ისტორიული დვალეთი ჩამოაცილეს. (გვასალია, 1996: 100) ჯავის და პატარა ლიახვის საპოლიციო უბნები ჯერ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ კი ოსეთის საპოლიციო უბნის სახით გორის მაზრას დაუქვემდებარეს. (გვასალია, 1996: 100)

მეთოდები

კვლევა, ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები

საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს თანდათან მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ისტორიულ საცხოვრისად გამოცხადების სურვილი გაუღრმავდათ, რამაც დროთა განმავლობაში სეპარატისტული მოძრაობის სახე მიიღო. ამის ნათელი დადასტურებაა 1917 წლის დეკემბერში განვითარებული მოვლენები. 1917 წლის 15-17 დეკემბერს, სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობამ, რომელიც ცხინვალში გაიმართა, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო აირჩია. (თოიძე, 1991: 15) საქართველოს ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსთან, თუმცა, ოსი სეპარატისტები დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდნენ. როგორც ლ. თოიძე წერს: ,,აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები.” (თოიძე, 1991: 23) 1918 წლის 19 მარტს, ცხინვალში ოსმა ბანდებმა შემზარავი ტრაგედია დაატრიალეს. დახოცეს მოლაპარაკებაზე მისული ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, სასტიკად გაუსწორდნენ ასევე ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას. (თოიძე, 1991: 25-26) 1918 წლის მარტში ოსი სეპარატისტების გამოსვლა ქართულმა სახალხო გვარდიამ გაანეიტრალა. (თოიძე, 1991: 28) თუმცა, ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსების გამოსვლები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.[1]

მსჯელობა

აჯანყებული ოსები არ ჯერდებოდნენ დიდი ლიახვის ხეობაში დაკავებულ ტერიტორიებს და გორისკენ მიიწევდნენ. (თოიძე, 1991: 28) 1919-1920 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში არაერთი კორესპონდენციაა გამოქვეყნებული, რომელიც ოს ყაჩაღთა თარეშს და მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკებას ეხება. (საქართველო, 1919: 4; მღებრიშვილი, 2019: 69-70) როგორც ჩანს, მძარცველი ოსების თავდასხმებით მათი თანატომელი მშვიდობიანი მოახალშენეებიც არანაკლებად იყვნენ შეწუხებულები. (მღებრიშვილი, 2019: 70) ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების მიერ მოწყობილ აჯანყებებს გმობდნენ თბილისში მცხოვრები ოსები. ამას ადასტურებს 1919 წლის 26 თებერვალს, მუშათა კრებაზე გამოსული ვ. გაგლოევის მოხსენება. თბილისელი ოსები თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ. (თოიძე, 1991: 30) თანამოძმეების მოწოდების მიუხედავად, ოსი სეპარატისტების გამოსვლები მაინც არ წყდებოდა, მათ უკან ბოლშევიკური რუსე-

1 ამის შესახებ ვრცლად, იხ. (მღებრიშვილი, 2019: 210-212; სარალიძე, 2007: 152; გუნცაძე, 2013-2014: 41; მენთეშაშვილი, 1996: 276-297).

თი იდგა. ასეთ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1919 წლის 23 ოქტომბერს როკის რაიონში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გაანეიტრალა. თუმცა, სეპარატისტული მოძრაობა კრემლის წაქეზებით კვლავ გრძელდებოდა. სწორედ ბოლშევიკთა წაქეზებით, 1920 წლის 8 მაისს, როკის რაიონში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1920 წლის 8 ივნისის სამხრეთ ოსეთის რევკომის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ადგილობრივ რევკომს ექვემდებარებოდა. ისინი გამოხატავდნენ მზადყოფნას საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. (თოიძე, 1991: 36) ოსი სეპარატისტების ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა. (მენთეშაშვილი, 1996: 285) ეროვნულმა გვარდიამ ვ. ჯუღელის მეთაურობით აჯანყების კერები გააუვნებელყო. (თოიძე, 1991: 37; მღებრიშვილი, 2019: 293)

დამოუკიდებლობის წყურვილის გასამძაფრებლად ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგები აღრმავებდნენ მითს, თუ როგორ იჩაგრებოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი. ამის გამოვლინებაა კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერის ი. სტალინის მიერ 1921 წლის 10 თებერვალს გაზეთში ,,პრავდა" გამოქვეყნებული სტატია: ,,პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ". კომუნისტური პარტიის ერთ-ერთობელადი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ოსების, აფხაზების, სომხების ჩაგვრაში ადანაშაულებდა. (სტალინი, 1949: 19) თუ როგორ „იჩაგრებოდნენ" ეთნიკური უმცირესობანი დემოკრატიულ საქართველოში, შეგვიძლია ნათლად დავინახოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო რეგულაციებით. 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონის „საქართველოს სახელმწიფო ენის" მიხედვით, ქართულ ენას ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველგვარი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, მათი ენობრივი უფლებები ცალკე კანონით რეგულირდებოდა. 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი: „წესი ენის ხმარებისა", რომლითაც დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და განისაზღვრა ეთნიკურ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები. (ხეცურიანი, 2011: 17) ქართული ენის არმცოდნე პარლამენტის წევრ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, სიტყვის წარმოთქმა შეეძლოთ თავიანთ მშობლიურ ენაზე, რომელიც პარლამენტის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. წარმოსათქმელი სიტყვა უნდა გადათარგმნილიყო ქართულად, თუ ამას 15 დეპუტატი მაინც მოითხოვდა. (პოპიაშვილი, 2017: 114) კიდევ უფრო დიდ უფლებებს აძლევდა ეთნიკურ ემცირესობებს 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი: „ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა". ამ კანონის შესაბამისად, თვითმართველობის ფარგლებში, თუ ეთნიკური უმცირესობა, მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი იყო, მათთვის საქმის წარმოება და მსჯელობა უნდა წარმართულიყო როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე. (პოპიაშვილი, 2017: 114; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990: 26)

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა უფლებებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო 1921 წელს მიღებულ კონსტიტუციაში. დემოკრატიული რესპუბლიკის ამ უმაღლეს დოკუმენტში მე-14 თავი სწორედ ამ საკითხს ეხება. (საქართველოს კონსტიტუცია, 1921: 36-37)

საქართველოს პირველი კონსტიტუციიდან ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ხედვა ორიენტირებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ენობრივ და კულტურულ უფლებებზე, რაც სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ დოკუმენტში მკაფიოდ აისახა.

1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა ოს სეპარატისტებს, რომელთა მიზანი საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა იყო. ცხინვალში შექმნილმა ოსურმა რევკომმა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული სოფლების შევიწროება დაიწყო. ამას ადასტურებს 1921 წლის მაისით დათარიღებული დოკუმენტი: "ქართულ სოფლებში ოსების უკანონო ქმედებების შესახებ, საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი განცხადება", სადაც ვკითხულობთ: "სოფელ ვანათში, ბელოთში, საცხენეთში და აწრისხევში იყო ცხინვალიდან შემდეგი რევკომი, რომელიც ეკუთვნოდა ცხინვალის რევკომს. რადგანაც ეს სოფლები არიან ქართული სოფლები,[2] ოსეთის რევკომმა ამ სოფლებში გაგზავნა მილიცია და გამოაცხადა თავისი ორიენტაცია. ასე რომ, ეს სოფლელები იძახიან, თუ ჩვენ ამათ ხელში დავრჩებით, მაშინ აქედან ავიყრებითო. ასეც მოხდა, მოსახლეობის ნაწილი აიყარა და წავიდა ბარისკენ." (ვადაჭკორია, 2020: 448) ოსები თავს დაესხნენ და გაძარცვეს დიდი ლიახვის ხეობის რამდენიმი სოფლის მოსახლეობა, მათ შორის: სვერში, ძარწემსა და ქემერტში მცხოვრები ქართველები. (ვადაჭკორია, 2020: 448-449) მალე სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილებით სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის იდეა გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი

2 აღსანიშნავია, რომ 1921 წლის 31 მაისით დათარიღებულ გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დამყოფი კომისიის პროექტის მიხედვით პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული რამდენიმე სოფელი ცხინვალის რაიონს მიაწერეს. ცხინვალის რაიონში რამდენიმე თემი შედიოდა. მათ შორის: "I. ცხინვალის თემა: ცხინვალი, გუჯაბაური. II. დიცის თემი: არბო, ბროწლეთი, დიცი კოხათი, ქორდი, მეღვრეკისი, ფრისი, სარაბუკი, ტირძნისი, თერგვისი, ერგნეტი, ერედვი, ვანათი, საცხენეთი, ხოშური, ბელოთი, აწრისხევი, ხადურიაანთკარი. III. თამარაშენის თემი: დგვრისი, თამარაშენი, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, მონასტერი, კეხვი, ქემერტი, სვერი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, ხეითი, ზღუდრის უბანი, საბაწმინდა, ხეითისფრისი. IV. შინდიდის თემი: არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, ყელქცეული, საქაშეთი, ფხვენისი, შინდისი." (ვადაჭკორია, 2020: 458).

შესასწავლად გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ბ. კვირკველიას, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო მოხსენებით მიმართა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს. მოხსენების ავტორი გორის მაზრიდან სამხრეთ ოსეთის ცალკე ერთეულად გამოყოფას გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით შეუძლებლად მიიჩნევდა: "სამხრეთ ოსეთი, როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთ შორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად. თითოეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს სხვადასხვა გეოგრაფიულ და სამეურნეო პროვინციებისას. ეს რაიონები ერთიმეორისგან დაშორებული არიან გადაუვალი მთებით და ამასთანავე თითოეულ მათგანს აქვს სრულიად თავისუფალი გამოსავალი მხოლოდ ბარში. იგინი ერთიმეორეს მოწყვეტილნი არიან წლის განმავლობაში რამდენიმე თვით და თითოეული მათგანი ეკონომიურათ დამოკიდებულია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად." (ვადაჭკორია, 2020: 482) ბ. კვირკველიას მოხსენების მიხედვით საქართველოში ჩამოსახლებული ოსები: "მოსახლეობენ შემდეგ რეგიონებში: 1). გორის მაზრაში – დიდი ლიახვის ხეობაში სოფ. კეხვამდის, ხოლო ამ სოფლიდან დაწყებული სამხრეთით მარტო ქართველებით დასახლებული სოფლებია, სადაც ოსების რიცხვი მცხოვრებთა 15 % არ აღემატება.

2). პატარა ლიახვის ხეობაზე, სოფლ ვანათამდის; ვანათის ზევითაც ჩრდილოეთით მდებარეობენ რამდენიმე ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხოშურა, საცხენე, აწრისხევი და სხვა. 3). მდინარე ფრონეს სათავეზე ყორნისის და წუნარის რაიონებში, სადაც ოსთა მოსახლეობა მცხოვრებთა 88 % არ აღემატება.4). დუშეთის მაზრაში - მდ. არაგვის და ქსნის სათავეზე. 5). რაჭის მაზრაში მდინარე ჯეჯორას სათავეზე." (ვადაჭკორია, 2020: 482) შანაგან საქმეთა სახალხო კომისრის ასეთი შინაარსის მოხსენების მიუხედავად, საკითხი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შექმნის შესახებ საბოლოოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტის კავბიუროს უნდა გადაეწყვიტა. ზემოთ ნახსენებ 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა იმავე წლის 27 სექტემბერს საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს გადაუგზავნა, აღნიშნულმა კომიტეტმა 1921 წლის 10 ოქტომბერს საკითხი განსახილველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა. თუმცა, რესპუბლიკის ბოლშევიკ ლიდერებს ამ საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოტანა გაუჭირდათ. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის ეს მავნებლური გადაწყვეტილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მიიღო. 1921 წლის 31 ოქტომბერს სწორედ კავბიურომ გამოსცა დადგენილება სამხრეთ ოსეთის, არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით. აღნიშნული დადგენილებით საქართველოს რევკომს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან ერთად უნდა

განესაზღვრა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები. (თოიძე, 1991: 67) კავბიუროს დადგენილებით, 1921 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ა. ჯატიევისა და მ. ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალი გამოაცხადა. (თოიძე, 1991: 67) 1921 წლის 23 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იმ კომისიის შემადგენლობა, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები. პრეზიდიუმმა საქართველოს რევკომს წინადადება მისცა ამ კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი და გაგლოევი. (თოიძე, 1991: 68) კომისია მუშაობას 1921 წლის 5 დეკემბრიდან შეუდგა. კომისიის თავმჯდომარედ კირილე კაკაბაძე აირჩიეს, მდივნად - სერგო გაგლოევი. (თოიძე, 1991: 68) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალის გამოცხადებას, ასევე, ოლქის შემადგენლობაში ქართული სოფლების გადაცემას დიდი და პატარა ლიახვის ხეობებსა და ფრონის ხეობაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა. (Sosiashvili, 2017: 253-264; სოსიაშვილი, 2018: 144-158) სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარედგინა მოხსენებითი ბარათი, საიდანაც ჩანს, რომ ცხინვალის შემოგარენ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა აღშფოთებული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეყვანით. მათ მიერ სპეციალური წერილები დაეგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ისინი გორის მაზრაში დარჩენას ითხოვდნენ. (თოიძე, 1991: 75-76) სოფლებში კრებები ჩატარდა, სადაც შედგენილ იქნა მოსახლეობის მიერ ხელმოწერილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობაში გადასაგზავნი მიმართვები. თუ როგორ გამოხატავდა უკმაყოფილებას ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების რამდენიმე სოფლის მაგალითზე. პროტესტი გამოხატეს სოფელ დგვრისის, (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი) კეხვის, (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი) სვერის, ქემერტის მაცხოვრებლებმა. (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი) საბჭოთა მთავრობას საპროტესტო წერილებით მიმართეს პატარა ლიახვის ხეობის სოფლების წარმომადგენლებმაც. სოფელ ერედვში მცხოვრები მოსახლეობის მიერ გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს 250 ადამიანი აწერს, ვკითხულობთ: ,,1921 წელს, დეკემბრის 24 დღეს, ჩვენ სოფელ ერედვის მცხოვრებნი ვადგენთ ამ ოქმს სოფლურად იმის შესახებ, რომ გადაეცეს ეს ოქმი ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს, ე.ი დელეგატებს ს.ს.რ. მთავრობასთან წარსადგენად. დელეგატებს ევალებათ გააგებინოს სოფელს მთავრობის მიერ ცხინვალის რაიონში გამოგზავნილი კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების შინაარსი. კომისია გამოგზავნილი იყო იმ მიზნით, რომ ადგილობრივ გამოეკვლია ხალხის დაკითხვით წინააღმდეგნი ხომ არ იქნებოდნენ, რომ ცხინვალის რაიონის სოფლები გადასულიყვნენ ოსეთის რესპუბლიკის მმართველობის ქვეშ. ზემოაღნიშნულ კომისიის მიერ დაბა ცხინვალში მოწვეულ რაიონის სოფლების წარმომადგენელთა ყრილობაზე

გამოირკვა, რომ ხალხი ერთხმად წინააღმდეგია საქართველოს რესპუბლიკას ჩამოშორდეს და მიეწეროს ოსეთის რესპუბლიკას. მიუხედავათ ასეთი აშკარა პროტესტისა ყრილობაზე არ იყო ოფიციალად გამოტანილი რეზულუცია და მიღებულ დადასტურებული ყრილობის მიერ. ვინაიდან ასეთი მოპყრობა მშრომელი ხალხისადმი სრულიად უსამართლოდ მიგვაჩნია. ვინაიდან ხალხმა არ იცის კომისია რა აზრით და გადაწყვეტილებით წარსდგება ს.ს.რ. მთავრობასთან ამ ფრიად მწვავე და მნიშვნელოვან საკითხის შესახებ. ვირჩევთ დელეგატებს და მოვითხოვთ მათ გამოარკვიონ ზემოთაღნიშნული და განმეორებით მოახსენენონ მთავრობას, რომ სოფ. ერედვის 250 კომლი მცხოვრებნი, ერთხმად, როგორც ერთი კაცი მთელი თავისი არსებით წინააღმდეგია ოსეთის რესპუბლიკათან შეერთებისა. სოფ. ირჩევს გადასახლდეს (ამ ადგილზე ერთი სიტყვა გაურკვევლად წერია) ადგილებიდან სხვა მიწა მოძებნოს, ვინემ საქართველოს რესპუბლიკას ჩამოშორდეს... მასთან ერთად ვავალებთ დელეგატებს გადასცენ ს.ს.რ. მთავრობას რომ უკეთუ მათ არ დაუჯერებენ ამ ოქმის სიმართლეს, მაშინ ჩვენ მზადა ვართ ქუდზე კაცი გავგზავნოთ მთავრობასთან ჩვენი გულის ნადების გადასაცემად.“ (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი) ერედველების მსგავსად, საპროტესტო წერილი მთავრობას სოფელ დიცის მაცხოვრებლებმაც გაუგზავნეს: ,,1921 წელი დეკემბრის 26 დღე. ჩვენ სოფელ დიცში მცხოვრებელნი გორის მაზრის ვადგენთ რა ამ ოქმს სოფლეურად მასზედ, რომ გადაეცეს ეს ოქმი ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს ე.ი. დელეგატებს წარსადგენათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან რომ გაგვაგებინონ შინაარსი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც გადასწყდა მთავრობის მიერ გამოგზავნილ კომისიის ამხანაგ კაკაბაძის თავმჯდომარეობით დაბა ცხინვალში, რომელიც იყო ყრილობა მოხდენილი კომისიის მიერ დეკემბრის რიცხვებში ვითომ და გადაცემის შესახებ ცხინვალის და მის რაიონის ოსების ხელში; განმეორებით უცხადებთ ჩვენ 150 კომლი მცხოვრებელნი პროტესტს ცხინვალის გადაცემაზე ოსების ხელში. კომისიის წინაშე იყო მოთხოვნილება, რომ კომისიას წაეკითხა ჩვენთვის ყრილობის რეზულუცია, მათ წაგვიკითხეს ესე „კრება ერთხმად უარს არის, რომ ცხინვალი გადაეცეს ცენტრად ოსეთს“. ჩვენ მოვითხოვეთ ამის პირი რომ საბუთათ გვქონოდა მათი რეზოლუციისა, კომისიაც დაგვპირდა ხვალ დილით რევკომში დავაბეჭდინებთ და გადმოგეგზავნებათ თქვენ რევკომებში, მეორე, მესამე დღეს გავგზავნეთ კაცები რევკომში რეზულუციის მისაღებად, მაგრამ ვერ ვეღირსეთ მის მიღებას და დავრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ, თუ მოისურვებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა, რომ დანამდვილებით გაიგოს ხალხის გულის პასუხი გავუგზავნით ორ-სამ კაცის მაგიერ ქუდზე კაცს და ანდა იყოს გამოგზავნილი ახალი კომისია კიდევ ცხინვალში დასაკითხად ხალხისა. პირველს მოვითხოვთ ჩვენ, რომ ოსეთის რევკომი, რომელიც ცხინვალში იყოს გადატანილი ს. ჯავაში, რომელიც შეადგენს ოსეთის შუა გულს, რომელზედაც ხელს ვაწერთ.“ დოკუმენტს აქვს სოფელ დიცის მცხოვრებთა ხელმოწერები (სულ 150 ხელმოწერა). ვინაიდან სოფლის მცხოვრებლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ მათ ნაცვლად ხელს აწერს

დოკუმენტის შემდგენელი (სავარაუდოდ, უნდა ეწეროს მ. ხომასურიძე). (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი) ცხინვალის რევკომი გრძნობდა რა ადგილობრივი ქართველების განწყობას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სთხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვის ცხინვალისა და ქართული სოფლების გადაცემის საკითხი დროებით შეეჩერებინა. (თოიძე, 1991: 76) ასეთივე აზრი ჰქონდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსაც. იგი საქართველოს სსრ რევკომს თხოვნით მიმართავდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ მოგვიანებით განეხილა, ვიდრე მოწესრიგდებოდა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის. (თოიძე, 1991: 76) 1921 წლის 25 დეკემბრით არის დათარიღებული პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ქორდის მაცხოვრებელთა საპროტესტო წერილი: “1921 წლის 25 დეკემბერს ჩვენ სოფელ ქორდის მცხოვრებლებმა მოვახდინეთ კრება. კრებაზედ ერთხმად დავადგინეთ, რომ შედგეს ოქმი სოფლურად, მასზედ, რომ ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს, ე.ი. დელეგატებს, რომელსაც დიცის თემიდან გავგზავნით ს.ს.რ. მთავრობასთან, ვაცნობებთ, რომ გაგვაგებინონ შინაარსი მთავრობის გაგზავნილი კომისიის მიერ ა.წ. 5 დეკემბერს ცხინვალში მოწვეული კრების გადაწყვეტილებისა,-ვითომ სამხრეთ ოსეთის ხელში ცხინვალის გადაცემის შესახებ. თუ ვინიცობაა მართალი გამოდგა ზემოხსენებული საქმე, მაშინ განმეორებით ვუცხადებთ პროტესტს ჩვენ ს. ქორდის მცხოვრებნი – 100 კომლი ოსების ხელში ცხინვალის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას. თუ ვინიცობაა ჩვენს ამ პროტესტს და იმ პირველი უარის თქმას ყრილობისას არ მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას მთავრობა, მაშინ მოგვეცეს ბინა და გადაგვასახლონ შორს, სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენს ძველად განთქმულ გმირულ ჩვეულებას. ცხინვალის ყრილობამ მოსთხოვა ს.ს.რ. მიერ გამოგზავნილ კომისიას, რომ ჩვენთვის წაეკითხა ყრილობაზედ მიღებული რეზოლუცია. მაგრამ, გამოგვეცხადა სიტყვიერად და არა წერილობით. შეგვპირდნენ, რომ გადაწყვეტილების შინაარსს მეორე დღეს წერილობით გაგვაცნობდნენ, მაგრამ დავრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ. ს.ს.რ. მთავრობა თუ მოისურვებს, რომ დანამდვილებით გაიგოს ყოველი ჩვენი მცხოვრების გულის პასუხი, სოფლიდან გავუგზავნით ქუდზე კაცს. ს.ს.რ. მთავრობისაგან კიდევ მოვითხოვთ, რომ სამხრეთ ოსეთის რევკომს და მათ ხელქვეით ოსებს ამცნოს, რომ იზრუნონ, რათა თავიანთი ბინა დაიდონ დ. ჯავაში, რომელიც არის მათთვის შუა ადგილი. მეორე ის რომ, ნუ დაავიწყდებათ ოსებს და ნუ მიჰყვებიან ამაყობას, რომ არ გადმოაბიჯონ თავიანთ სამზღვარს, თუ რომ უნდათ, რომ იყვეს ჩვენსა და მათ შორის სიტკბოება და ძმური კავშირი და არ მოხდეს არავითარი განხეთქილება. ამასთანავე რაც გამოსცა დეკრეტები შ.ს.ს.კ 21 ჟურნალი ,,მოამბე”, რაზედაც ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ სოფელი.” ხელს აწერს 100 კაცი, ყოველი კომლიდან ერთი. (ვადაჭკორია, 2020: 492) ასეთივე შინაარსის წერილი გაგზავნეს მთავრობაში პატარა ლიახვის ხეობის სოფელ არბოს წარმომადგენლებმაც, რომლებიც საქართველოში ჩამოსახლებული ოსებისთვის ცხინვალის გადაცემას აპროტესტებდნენ: “1921 წელს 25 დეკემ-

ბრისას ჩვენ ს. არბოში მცხოვრებლებმა მოვახდინეთ კრება. კრებაზედ ერთხმად დავადგინეთ, რომ შესდგეს ოქმი სოფლურად, მასზედ, რომ გადავცეთ ჩენს მიერ ამორჩეულ კაცებს, ე.ი. დელეგატებს, რომლებსაც დიცის თემიდან გავაგზავნით ს.ს.რ. მთავრობასთან, რათა მთავრობას ვაცნობოთ, რომ გაგვაგებინონ შინაარსი იმ გადაწყვეტილებისა, რაც მთავრობის გამოგზავნილი კომისიის მიერ 5 დეკემბერს დაბა ცხინვალში მოწვეულმა კრებამ გადაწყვიტა, ვითომ და ცხინვალის გადაცემის შესახებ სამხრეთ ოსეთის ხელში. თუ ვინიცობა მართალი გამოდგა ზემოხსენებული საქმე, მაშინ, ჩვენ ს. არბოს მცხოვრებნი (47 კომლი) განმეორებით ვაცხადებთ პროტესტს ოსების ხელში ცხინვალის გადაცემის შესახებ. თუ ვინიცობაა ჩვენს ამ პროტესტზედ და ყრილობის მიერ იმ პირველი უარის თქმაზედ არ მიაქცევს ყურადღებას ს.ს.რ. მთავრობა, მაშინ მოგვცენ ბინა და დაგვასახლონ შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და გულს ვერ მისწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენს ძველად განთქმულს გულგმირობას. ცხინვალის ყრილობამ მოსთხოვა ს.ს.რ. მთავრობის გამოგზავნილ კომისიას, რომ ჩვენთვის წაეკითხა ყრილობაზედ მიღებული რეზოლუცია, მაგრამ გამოგვეცხადა სიტყვიერად და არა წერილობით. შეგვპირდნენ, რომ რევკომების სახელით მეორე დღეს წერილობით გამოგვეცხადებოდა შინაარსი გადაწყვეტილებისა, მაგრამ დავრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ. თუ რომ მოისურვებს ს.ს.მ. რომ დანამდვილებით გაიგოს ყოველი ჩვენი მცხოვრების გულის პასუხი, გავუგზავნით თუნდ ქუდზედ კაცსს სოფლიდან. კიდევ მოვითხოვთ, რომ მთავრობამ ამცნოს სამხრეთ ოსეთის რევკომს, იზრუნონ თავიანთი ბინა გადაიტანონ დ. ჯავაში, რომელიც არის მათთვის შუა ადგილი, მეორე ის, რომ ნუ დაავიწყდებათ ოსებს, რომ თავიანთ საზღვრებზედ არ გადმოაბიჯონ, თუ რომ უნდათ ჩვენსა და მათ შორის იყვეს სიტკბოება და ძმური განწყობილება და არ მოხდეს არავითარი განხეთქილება. ამასთანავე, თანახმად გამოცემული დეკრეტისა და ჟურნალი ,,მოამბე" შ.ს.ს.კ #21. რაზედაც ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ". დოკუმენტს 47 ადამიანის ხემოწერა აქვს. (ვადაჭკორია, 2020: 493-494) მოსახლეობის პროტესტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მომდევნო წელსაც გაგრძელდა. 1922 წლის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, ისინი ცხინვალის და მისი რაიონის ისტორიულ საზღვრებში დარჩენას მოითხოვდნენ. (თოიძე, 1991: 76) ასეთივე საპროტესტო შეკრების ოქმები დაეგზავნა ხელისუფლებას: ნედლათიდან, ხუნდისუბნიდან, შინდარადან, თიღვადან, ალაბარიდან, ზემო და ქვემო ოქონიდან... (თოიძე, 1991: 76-77) პატარა ლიახვის ხეობის სოფლების მაცხოვრებელთა წინა წლის საპროტესტო გამოსვლის გაგრძელება იყო 1922 წლის 20 იანვრის კრების დადგენილება, რომელიც საცხენეთის მოსახლეობამ გაუგზავნა ხელისუფლებას. (თოიძე, 1991: 77) კომისიას, რომელსაც კ. კაკაბაძე ჩაუდგა სათავეში, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კონსულტაციით დიალოგის ფორმატში უნდა განეხილა ისტორიული ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთზე გადაცემის საკითხი, მაგრამ კომისიის მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობის მოთ-

ხოვნის მიუხედავად, კომისიამ მათ ყრილობის რეზოლუცია არ გადასცა. დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებნი ახალი კომისიის დანიშვნას, ასევე ოსეთის რევკომის ს. ჯავაში გადატანას ითხოვდნენ. საბჭოთა მთავრობას ოცამდე სოფლის საპროტესტო წერილი გაეგზავნა. (თოიძე, 1991: 75) საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცხინვალი და მისი მიმდებარე ქართული სოფლები მცირე ხნით გორის მაზრის რაიონულ რევკომს დაუქვემდებარა, თუმცა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალი მიიჩნია. (თოიძე, 1991: 75) ხელისუფლების კომპრომისი დროებითი იყო. 1922 წლის 20 აპრილს, კრემლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა. (თოიძე, 1991: 80) გამოიცა დეკრეტი (#2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე. (თოიძე, 1991: 84) ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით შეიყვანეს უძველესი ქართული სოფლები. დეკრეტში აღწერილია ის გეოგრაფიული ხაზი, რომელიც ავტონომიურ ერთეულში მოქცეულ ქართულ სოფლებს დანარჩენი ტერიტორიისგან გამიჯნავდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის “საზღვრის” ერთი მონაკვეთი სწორედ პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებს მისდევდა, კერძოდ ოლქის ცენტრად მიჩნეულ ცხინვალის სამხრეთიდან სოფელ ერედვს მიუყვებოდა, შემდეგ არბოს ჩრდილოეთ ნაწილში კვეთდა მდ. პატარა ლიახვს, ასევე მდ. ჭარებულას მერეთის და კოშკის ზემოთ და შემდეგ სამხრეთ აღმოსავლეთით სოფელ ფლავისმანის ზემოთ ეშვებოდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. და დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა ლიახვს, სოფელ არბოს ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფელ მერეთისა და კოშკას ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრეფას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას...”. (თოიძე, 1991: 81-82) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით მოქცეული ქართული სოფლების მოსახლეობა მაინც არ ცხრებოდა და ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. მოსახლეობის საპროტესტო წერილებზე დაყრდნობით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1922 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის მოხსენებითი ბარათი გაეგზავნა, სადაც ვკითხულობთ: ,,ვარდგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალურ კომისიის მოხსენებას, ფაქტიურ მასალით დასაბუთებულს, და მიმაჩნია რა საჭიროთ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს, და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება - გადასინჯულ იქნას დეკრეტი ნომერი მე-2. რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით.” (თოიძე, 1991: 85) შინაგან საქმეთა კომისრის მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, საპროტესტო კრებებზე შედგენილი: თიღვის, ოქონის, სუნისის, ნაბაკვევის, ტყის უბნის, შინდარის, ნედლათის, ალი-ბარის, ახალშენისა და ხუნდისუბნის მცხოვრებელთა ოქმები. (თოიძე, 1991: 85) ასეთივე პროტესტი არსებობდა პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში. 23 აგვისტოთი დათარიღებულ ოქმში ახლად შექმნილ ავტონომიურ ოლქში შესვლას აპროტესტებდნენ სოფ. ჭარების (პატარა ლიახვის ხეობა) მცხოვრებნი. (თოიძე, 1991: 85) ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მცხოვრებლებმა ხელისუფლებას ასე მიმართეს: „სამხრეთ-ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილათ და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ ქართველებს გვარტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარეუბანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებანიო.” (თოიძე, 1991: 85) ასეთივე პროტესტს გამოხატავდნენ რაჭის მაზრაში შემავალი ქართული სოფლების წარმომადგენლები. (თოიძე, 1991: 85-86) მსგავსი შინაარსის წერილით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სოფ. ძვილეთის მცხოვრებლებმა 1922 წლის 5 ივლისს. (თოიძე, 1991: 85-86) ხელისუფლებას იმავე წლის 21 ოქტომბერს პროტესტით მიმართა ასევე ქსნის თემმა (დუშეთის მაზრა). (თოიძე, 1991: 86-87) საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტის მიუხედავად, 40 ქართული სოფელი ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემადგენლობაში მოექცა. ავტონომიურ ერთეულზე გადაცემული სოფლების სია ეროვნული შემადგენლობის მითითებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარიჭაშვილი, ს,

გიორგაძე) შეადგინა. სიის თანახმად, ახლად შექმნილ ოლქს მიაკუთვნეს თამარაშენის საზოგადოებაში არსებული 12 სოფელი: ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, საბაწმინდა, ქემერტი, ხეითი, დგვრისი, ქურთა, კეხვი, სვერი (ზემოთ მითითებული ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, თამარაშენის საზოგადოების სოფლებში იმ დროისთვის ცხოვრობდა 4119 ქართველი, 525 ოსი, სხვა ეროვნების 6 ადამიანი). ცხინვალის საზოგადოებიდან: ქ. ცხინვალი, სოფელი გუჯაბაური (იმ დროისთვის ცხინვალში ცხოვრობდა 1185 ქართველი და 2697 სხვა ეროვნების ადამიანი, კომისიის მიერ შედგენილ სიაში იმ დროისთვის ცხინვალში არც ერთი ოსი მაცხოვრებელი არ იყო დაფიქსირებული, სხვა ეროვნების ადამიანებში კი ცხინვალში მცხოვრები სომხები და ებრაელები იგულისხმება). სოფელ გუჯაბაურში 186 ქართველი და 40 ოსი ცხოვრობდა). წუნარის საზოგადოებიდან ოლქს გადაეცა სოფელი ნული (ნულში ცხოვრობდა 413 ქართველი და 23 ოსი). დირბის საზოგადოებიდან სოფელი ძველეთი (324 ქართველი, 10 ოსი, სხვა ეროვნების 10 ადამიანი). ავლევის საზოგადოებიდან სოფლები: ხუნდის უბანი, შინდარა, თიღვა, ძალეთი, ზემო ოქონა, ქვემო ოქონა, ნედლათი, სუფნისი, ნაბაკევი, ჯვრისისი, ბზისხევი (სულ 1526 ქართველი და 324 ოსი). მერეთის საზოგადოებიდან, სოფლები: სნეკვი, ზარდიანთ-კარი, ქსუისი, ჭარები, კულბითი, დისევი (1536 ქართველი და 119 ოსი); ორტევის საზოგადოებიდან, სოფელი ვანათი (432 ქართველი, 48 ოსი). ბელოთის საზოგადოებიდან სოფლები: აწრისხევი, საცხენეთი, ხაშურა (?) ხადურიანთ-კარი, ბელოთი, ზემო ავნევი, ქვემო ავნევი * (სულ 1379 ქართველი, აღნიშნულ სოფლებში, ბოლშევიკების მიერ შედგენილ სიაში არც ერთი ოსი არ ფიქსირდება). 2015 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მიხედვით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოთხ რაიონად დაიყო. ესენია: ცხინვალის, ლენინგორის (ახალგორის), ზნაურის (ყორნისი) და ჯავის. პატარა ლიახვის ხეობის ის სოფლები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ოკუპირებულია, ცხინვალის რაიონში მოექცა და რამდენიმე სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს, მათ შორის სოფელი სარაბუკი და სოფელი კოხათი სარაბუკის სასოფლო ადმინისტრაციას (2015 წლის მდგომარეობით სარაბუკში ცხოვრობდა 79 ადამიანი, აქედან 48 მამაკაცი, 31 ქალი; კოხათში 104 ადამიანი, აქედან 64 მამაკაცი, 60 ქალი); სოფელი ორტევი, სტირკომი, სიხდაგდონი, გულდართა "ორტეუს" სასოფლო ადმინისტრაციას (აქედან, ორტევში ცხოვრობდა 8 ადამიანი, 6 მამაკაცი და 2 ქალი; სტირკომში (გაურკეველია, რომელ ქართულ სოფლებს ეწოდა ეს სახელები, ე. წ. სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებამ უამრავ ქართულ სოფელს გადაარქვა სახელი, რასაც ადასტურებს 2013 წელს, ქ. ვლადიკავკაზში გამოსული "ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია". ენციკლოპედიის მიხედვით ოკუპირებულ ტე-

* სიაში ბელოთის საზოგადოების სოფლების ჩამონათვალში შეცდომით არის მიწერილი ზემო და ქვემო ავნევი, რადგან სოფელი ავნევი მდებარეობს არა პატარა ლიახვის, არამედ ფრონეს ხეობაში.

რიტორიაზე შეცვლილია უამრავი ქართული ტოპონიმი, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობაში: მაგ. ქვემო სარაბუკი-ალბორითიყაუ, არგვიცი-არგვისი, აწრისხევი-აცრისყაუ, შუაცხვირი-სუაცხურ, გუდისი-თადატა და სხვ.) (თოფჩიშვილი, 2016: 66-67) 35 ადამიანი, 19 მამაკაცი და 16 ქალი; სიხდაგონში 13 ადამიანი, 6 მამაკაცი და 7 ქალი; მულდანთაში 11 ადამიანი, 5 მამაკაცი და 6 ქალი); მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებული სოფლები, რომლებიც ისტორიულ ,,კურბითს" მიეკუთვნებოდა ,,დიხუიზთას" (დიხუიზტსკაიას) სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს. აქ შეიყვანეს ,,დიხუიზთა", (სადაც ცხოვრობდა 431 ადამიანი, 230 მამაკაცი და 201 ქალი); სოფელი ნანითა, (სადაც ცხოვრობდა 148 ადამიანი, 86 მამაკაცი და 62 ქალი); ხელჩუა (350 მაცხოვრებელი, 203 მამაკაცი და 147 ქალი); ქსუისი (83 მაცხოვრებელი, 46 მამაკაცი და 37 ქალი); დისეუ (დისევი) (არც ერთი მაცხოვრებელი); კორკუულა (არც ერთი მაცხოვრებელი); ქერე (სოფელი ქერე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო მეორე ნაწილი - ზემო ქერე ოკუპირებულია) (არც ერთი მაცხოვრებელი); ცარუათი (არც ერთი მაცხოვრებელი); დმენისის სასოფლო ადმინისტრაციაში შევიდა სოფელი დმენისი (სადაც 2015 წლის მდგომარეობით 942 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან 447 მამაკაცი, 468 ქალი); ,,უანათას" სასოფლო ადმი_ ნისტრაციას შევიდა უანათა (ვანათი), (სადაც 26 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან 12 მამაკაცი, 14 ქალი); მამისანთაში (მამისაანთ უბანი), (35 მაცხოვრებელი, აქედან 18 მამაკაცი, 17 ქალი); პრისი (ფრისი) (219 მაცხოვრებელი, 106 მამაკაცი, 113 ქალი); სადიყაუ (10 მაცხოვრებელი, 3 მამაკაცი და 7 ქალი); ელტურა (12 მაცხოვრებელი, 8 მამაკაცი და 4 ქალი); საცხენეთი, (13 მაცხოვრებელი, 5 მამაკაცი, 8 ქალი); ბერულა (არც ერთი მაცხოვრებელი); ირიყაუ (სავარაუდოდ, ერედვი), (არც ერთი მაცხოვრებელი); არგვიცი (არც ერთი მაცხოვრებელი); ბელოთი (არც ერთი მაცხოვრებელი). (Итоги всеобщей переписа населения республики Южная Осетия 2015 года, 2015: 17-21)

დასკვნა

ისტორიული პატარა ლიახვის ხეობის ძირძველი სოფლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მკვიდრი ქართული მოსახლეობა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო რეგულარული არმიის მოქმედების შედეგად, დევნილად იქცა. ოკუპანტების და მათ სამსახურში მყოფი დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე. წ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ქართული კვალის წაშლა, მხოლოდ მოსახლეობის გამოდევნით არ დასრულებულა. სახეზეა ონომასტიკური შტურმი, სოფლების და დასახლებული პუნქტების სახელების გადარქმევა. უამრავი ქართული სოფელი მიწის პირისაგან აღიგავა. ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. დაცლილი და განადგურებული ქართული სოფლების საქართველოს ტერიტორიისაგან ჩამოსაცილებლად, კრემლის ძალისხმევით, საოკუპაციო ხაზი გაივლო და ისტორიული შიდა ქართლის განუყოფელი ნაწილი მავთულხლართით გადაიღობა. საოკუპაციო ძალებმა ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებზე,

პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ დისევ-კულბითის სიახლოვეს სამხედრო ბაზა ააშენეს, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. გარდა ამისა, დღემდე გრძელდება ე. წ. მცოცავი ოკუპაცია, და ე. წ. გამყოფ ხაზთან არსებული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება და ცხინვალის ციხეში გადაყვანა (ჯალაბაძე, ჯანიაშვილი, & ლოლაძე, 2022: 86-88), რაც ზოგჯერ ფატალური შედეგით მთავრდება. (https://tabula.ge/ge/topic/113472) ვფიქრობთ, საქართველოში არსებული სიტუაცია, ოკუპირებული ტერიტორიები, ადამიანების უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ათეულობით ქართულ სოფელში მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრისების განადგურება, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს საფიქრალი უნდა იყოს. ამას ყველა წინ უნდა აღუდგეს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gazeti *„sakartvelo“*. (1919). № 241. (გაზეთი *,,საქართველო”*. (1919). №241).

gvasalia, j. (1996). shida kartli da osuri p'roblema. k'rebulshi *“osta sak'itkhi”*. gori-tbilisi. (გვასალია, ჯ. (1996). შიდა ქართლი და ოსური პრობლემა. კრებულში *“ოსთა საკითხი”*. გორი-თბილისი).

guntsadze, m. (2013-2014). 1920 ts'lis osta ajanqeba shida kartlshi kartuli p'erioduli p'resis masalebis mikhedvit. *kartuli ts'qarotmtsodneoba*, XV-XVI. (გუნცაძე, მ. (2013-2014). 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პერიოდული პრესის მასალების მიხედვით. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XV-XVI).

vadach'k'oria, sh. (2020). *osuri sak'itkhi da kartuli sinamdvile (1917-1925 ts'.ts'.)*. tbilisi. (ვადაჭკორია, შ. (2020). *ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წ.წ.)*. თბილისი).

toidze, l. (1991). *rogor sheikmna samkhret osetis avt'onomiuri olki*. tbilisi. (თოიძე, ლ. (1991). *როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი*. თბილისი).

topchishvili, r. (2016). *„osuri etnograpiuli entsik'lop'edia“ kartul-osuri urtiertobis k'ont'ekst'shi*. tbilisi. (თოფჩიშვილი, რ. (2016). *„ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში*. თბილისი).

menteshashvili, a. (1996). osuri sep'arat'izmi 1918-1920 ts'lebshi. k'rebulshi *“osta sak'itkhi”*. tbilisi. (მენთეშაშვილი, ა. (1996). ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. კრებულში *“ოსთა საკითხი”*. თბილისი).

mghebrishvili, a. (2019). *tskhinvali sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is p'eriodshi (1918-1921)*. tbilisi. (მღებრიშვილი, ა. (2019). *ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)*. თბილისი).

p'op'iashvili, n. (2017). etnik'uri umtsiresobebis enebis sts'avlebis taviseburebebi sabch'ota da p'ost'sabch'ota sakartveloshi (apkhazuri da osuri enebis magalitze). *iv. javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo*

universit'et'i, III saertashoriso sametsniero k'onperentsia, kartul-osur urtiertobata ganvitarebis p'ersp'ekt'ivebi, masalebi. tblisi. (პოპიაშვილი, ნ. (2017). ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე). *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, მასალები*. თბლისი).

saralidze, l. (2007). sakartvelos p'irveli resp'ublik'a (1918-1921) da osetis sak'itkhi. *akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi*. (სარალიძე, ლ. (2007). საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921) და ოსეთის საკითხი. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*).

sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is samartlebrivi akt'ebis k'rebuli. (1990). (*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული*. (1990)).

sakartvelos erovnuli arkivis uakhlesi ist'oriis tsent'raluri arkivi. p. 284, aghts'. 1, sak. 62, purts. 81. (*საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი*. ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81).

sakartvelos k'onst'it'utsia. (1921). mighebuli sakartvelos dampudznebeli k'rebis mier 1921 ts'lis tebervlis 21. batomi. (*საქართველოს კონსტიტუცია*. (1921). მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. ბათომი).

sosiashvili, g. (2018). samkhret osetis avt'onomiuri olkis shekmnis ist'oriidan (liakhvis kheobis mosakhleobis p'rot'est'i sabch'ota khelisuplebis mimart samkhret osetis avt'onomiuri olkis shemadgenlobashi shesvlastan dak'avshirebit). *goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'i, humanit'arul metsnierebata pak'ult'et'i, ist'oriisa da arkeologiis tsent'ri, shromata k'rebuli*. #16, 144-158. (სოსიაშვილი, გ. (2018). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (ლიახვის ხეობის მოსახლეობის პროტესტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით). *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული*. #16, 144-158).

st'alini, i. b. (1949). *tkhzulebani*. t'. 5. tbilisi. (სტალინი, ი. ბ. (1949). *თხზულებანი*. ტ. 5. თბილისი).

khetsuriani, j. (2011). sakartvelos sakhelmts'ipo ena. *martlmsajuleba da k'anoni*. #1, (28). (ხეცურიანი, ჯ. (2011). საქართველოს სახელმწიფო ენა. *მართლმსაჯულება და კანონი*. #1, (28).

jalabadze, n., janiashvili, l., & loladze, n. (2022). *borderizatsia da kartul-osuri urtiertobebi ok'up'irebul regionshi*. tbilisi. (ჯალაბაძე, ნ., ჯანიაშვილი, ლ., & ლოლაძე, ნ. (2022). *ბორდერიზაცია და ქართულ-ოსური ურთიერთობები ოკუპირებულ რეგიონში*. თბილისი).

Sosiashvili, G. (2017). The Oppression of the Georgian Population in Tskhinvali

Region During the First Years of Soviet Occuopation. *Pro Georgia Journal of Kartvelological Studies* (#27), 253-264.

АКАК. (1884). *Akty, sobrannye Kavkazskoj arheograficheskoj komissiej.* t. IX. Tiflis. (АКАК. (1884). *Акты, собранные Кавказской археографической комиссией. т*. IX. Тифлис).

Itogi vseobshhej perepisa naselenija respubliki Juzhnaja Osetija 2015 goda. (2015). Chinval. Polucheno iz http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf. (*Итоги всеобщей переписа населения республики Южная Осетия 2015 года.* (2015). Цхинвал. http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf)

https://tabula.ge/ge/topic/113472

Ущелье Малой Лиахви в составе т.н. Юго-Осетинской автономной области и протест населения

Гиорги Сосиашвили
Доктор истории,
Профессор Горийского государственного университета
ORCID: 0000-0002-2406-8662
(+995) 577 24 00 88; giorgisosiashvili@gmail.com

Резюме

Имперская политика России по отношению к Грузии, строилась на основе планомерного осуществления своих великодержавных целей - интеграции в русское пространство разных уголков Грузии и полной ассимиляции ее населения. В сферу интересов российского имперского двора входило создание на Кавказе военно-политических анклавов, рассматриваемых как базис по реализации его политических замыслов в регионе. Началом процесса по реализации политических намерений царистской России явилось создание отдельных административных единиц для проживающих в Грузии горцев и, для переселившихся из Северного Кавказа в нагорную часть Восточной Грузии, осетин. В 1842году, по указанию военного министра Российской империи А.И. Чернышева, для населения горной полосы Восточной Грузии, прежде входящего в состав Горийского, Тбилисского и Телавского уездов, главноуправляющим Грузией Е.А. Головиным, были созданы две административные единицы: Тушети – Пшав-Хевсуретский и Осетинский округа. Проживающие поблизости Военно-Грузинской дороги, мтиулетинцы и мохевцы были отнесены к Осетинскому округу, центр которого находился в Квешети. В сентябре 1842 года, при посещении Е.А. Головиным Осетинского округа, стало очевидно, что управлять из Квешети, лежащим на верхнем поясе ущелья Большой Лиахви и населенным осетинами ареалом, Джава, Магран – Двалети и Нар-Мамисони, было несподручно. В связи этим, для населения, проживающего вдоль Военной- Грузинской доро-

ги был создан Горный округ, который в 1843 году, был разделён на три участка: Джавский, Малой Лиахви и Нарский. Начальники вышеупомянутых округов согласно специальной инструкции, были подчинены начальнику Горного округа. В состав Осетинского округа входило и Ардонское ущелье (Двалети), с центром Джава. 3 апреля 1858 года было создано левое крыло Кавказской Линии, в состав которой вошел, размещенный на Северном Кавказе Осетинский военный округ. Под предлогом улучшения управления горским населением и близости к Владикавказу, к этой административной единице был отнесен, Нарский участок Осетинского округа. Тем самым, от Грузии была отторгнута ее неотъемлемая историческая часть-Двалети.Полицейские участки Джава и малой Лиахви на первых порах входили в состав Тбилисской губернии, затем же, как осетинский полицейский участок были подчинены Горийскому уезду. Вместе с административно-территориальным дроблением по своему усмотрению, имперская власть, противопоставляла различные этносы друг другу, в данном случае- этнических грузин и осетин. Новоприбывшие осетинские поселенцы- хизани, вопреки исторической традиции, интегрировались не в грузинское, а в русское политическое пространство, что и послужило отчуждению коренного грузинского населения и поселенцев осетин.У переселившихся в Грузию осетин, желание, занимаемые ими территории объявить своим историческим местом жительства, постепенно возросло и со временем приняло вид сепаратистского движения. **П**осле катаклизмов 1917 года, еще в декабре наметились явные проявления

осетинского сепаратизма, одним из которых стало избрание Национального совета Южной Осетии, на созванном 15-17 декабря, в Цхинвали, II съезде делегатов Южной Осетии. Новоизбранный Национальный совет Южной Осетии изначально открыто вел антигосударственную деятельность, однако Национальный совет Грузии сотрудничал с ним. Несмотря на это, осетинские сепаратисты провоцировали противостояние. Согласно Л. Тоидзе „...**тут были взаимно переплетены социальные, национальные и сепаратистские мотивы**“. С целью разрядить напряженность и упорядочить взаимоотношения, власти Грузии неоднократно пытались путем переговоров прийти к компромиссу. Однако, осетинские сепаратисты объявили неповиновение независимому грузинскому государству, зачастую перераставшее в вооруженные выступления. 19 марта 1918 года, вооруженные банды осетин совершили ужасную трагедию в Цхинвали. Они убили пришедших на переговоры представителей грузинской делегации и жестоко расправились с местным мирным населением. Исходя из безоговорочного разумения государственных интересов, в марте 1918 года, подразделениями грузинской народной гвардии выступления осетинских сепаратистов были нейтрализованы. Однако, подстрекаемые большевиками выступления осетин против грузинского государства, продолжались и в последующие годы. После аннексии Грузии Россией в 1921 году осетинскому сепаратизму были развязаны руки-была начата новая кампания с требованием отделения Южной Осетии от Грузии. 20 апреля 1922 года Кремль официально оформил образование Юго-Осетинской автономной

области. Был издан декрет (№2) Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров Грузии об образовании Юго-Осетинской автономной области за подписью председателя Центрального Исполнительного Комитета Грузии Ф. Махарадзе, председателя Совета Народных Комиссаров Грузии С. Кавтарадзе и секретаря Центрального Исполнительного Комитета Т. Каландадзе.

В состав, искусственно образованной Юго-Осетинской автономной области были принудительно включены древнейшие грузинские селения. В декрете приведено начертание той географической линии, которая, селения, оказавшиеся в составе автономного образования, отделяла от остальной территории. Один из отрезков этой линии проходил именно по селениям, расположенным южнее верхнего пояса ущелья реки Малой Лиахви. В частности, следуя с юга Цхинвали, эта линия проходила по селению Эредви, далее, в северной части селения Арбо пересекала реку Малая Лиахви и выше селений Мерети и Кошка -реку Чаребула, затем, поворачивая к юго-востоку, спускалась вниз. Следуя документу: „ ...с юга: межевая линия следует по Чорчан-Цнелисской дороге, ниже Цнелиси пересекает реку Лопани, поворачивает к северо-востоку; проходит выше селения Атоци, ниже селения Окона пересекает реку Прона, направляется к югу, затем к востоку от реки Прона, ниже селения Кватетри, пересекает левый приток реки Прона; затем выше селения Двана пересекает реку Прона (Корнисскую) и выше Двана; держа северо-западное направление, следует параллельно Двани-Гуджабетской дороги; ниже города Цхинвали и выше селения Эргнети, пересекает реку Большая Лиахви; подступает к селению Эредва; выше селения Арбо пересекает реку Малая Лиахви, выше селения Мерети и Кошка пересекает реку Чаребула; поворачивает к юго-востоку, выше селения Плависмани пересекает реку Отрепа и пересекает реки Адзура и Меджуда“.

Таким образом, Южно-Осетинская автономная область оказалась на древнейшей грузинской территории-Шида Картли. Это обстоятельство вызвало крайнее недовольство среди жителей грузинских сел региона. Жители города Цхинвали и Цхинвальского района, селений Двани, Нули, Авневи, Корди, Тирдзниси, Земо и Квемо Никози, Земо и Квемо Хвити и др. на созванных в декабре 1921 года собраниях отказались входить в состав Юго-Осетинской автономной области. Несмотря на острый протест грузинского населения, проживающего на своей, исторически грузинской земле, 40 грузинских селений были принудительно включены в состав т.н. Юго-Осетинской области, в том числе и селения расположенные на верхнем поясе ущелья Малая Лиахви. В 2015 году, де-факто властью т.н. Южной Осетии была проведена перепись населения, согласно которой бывшая Юго-Осетинская автономная область была разделена на четыре района: Цхинвальский, Ленингорский (Ахалгорский), Знаурский (Корнисский) и Джавский. Оккупированные после войны 2008 года, селения ущелья реки Малая Лиахви были введены в состав Цхинвальского района и отнесены к нескольким сельским административным единицам. Не одно селение было переименовано де-факто властью, что является попыткой уничтожить следы многовекового, непрерывного проживания грузин.

Ключевые слова: Ущелье Лиахви, Осетины, Восстание, Большевики, Оккупация.